



ისტორია, პოლიტიკა, წყაროთმცოდნეობა
HISTORY, POLITICS, PRIMARY SOURCE STUDIES

მუსლიმი რეფორმატორები თბილისში - ჟურნალ „მოლა
ნასრედინის“ მაგალითი.²

თამთა ბოკუჩავა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ. წერეთლის
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ასისტენტ მკვლევარი.

საქართველო, თბილისი, გ. წერეთლის 3.

+995595502303. tamta.bokuchava.1@iliauni.edu.ge

ORCID: 0009-0009-2483-5022

აბსტრაქტი

XX საუკუნის დასაწყისში, ხელოვანთა და ინტელექტუა-
ლთა ჯგუფმა ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი ყველაზე ცნო-
ბილი ფოლკლორული ფიგურის, მოლა ნასრედინის ხელახალი
ინტერპრეტაცია მოახდინა. ამით ისინი ცდილობდნენ ჩამოეყალ-
ბებინათ რეფორმისტული და ანტიკოლონიალური მუსლიმური
დისკურსი, რომელსაც აქცენტი სოციალურ და პოლიტიკურ რე-
ფორმებზე ექნებოდა. ფოლკლორის, ვიზუალური ხელოვნებისა
და სატირის მეშვეობით პერიოდული გამოცემა Mollā Nasreddin-
მა გავლენა იქონია ათიათასობით მუსლიმზე და შეცვალა მთელი
თაობის აზროვნება. ავტორები სხვადასხვა სოციალურ ფენას მიე-
კუთვნებოდნენ. ზოგიერთი მუშათა კლასის ოჯახებიდან იყვნენ,
თუმცა ძირითადი ნაწილი მაინც საშუალო ფენის წარმომად-
გენლები იყვნენ. რედაქტორი ჯალილ მემედყულიზადე, იგივე
მირზა ჯალილი (1866–1932), იყო ავტორი, დრამატურგი და აზე-

² სტატია მომზადებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის (#FR-8081) ფარგლებში

რბაიჯანული ლიტერატურის კრიტიკული რეალიზმის სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი. ომარ ფაიქ ნემანზადე (1872–1937), თანადამფუძნებელი და რედაქტორი, იყო გამოცდილი ჟურნალისტი, რომელიც სწავლობდა თურქეთში. მირზა ჯალილის მეუღლე, ჰამიდე ხანუმი (1873–1955) იყო ქალთა უფლებების დამცველი. 1906 წლიდან 1912 წლამდე თბილისში გამოიცა Mollā Nasreddin-ის დაახლოებით 370 ნომერი. 1906 წლის 7 აპრილს, ჟურნალი გამოვიდა მოკრძალებული, 1000 ეგზემპლარიანი ტირაჟით, მაგრამ ერთ თვეში იბეჭდებოდა კვირაში 25000 ეგზემპლარი. Mollā Nasreddin აკრიტიკებდა სამხრეთ კავკასიის პოლიტიკოსებს, მიწის მესაკუთრეებს და სასულიერო პირებს; ხაზს უსვამდა ქალებისა და ბავშვების ჩაგვრას პატრიარქალურ საზოგადოებაში.

საკვანძო სიტყვები: Mollā Nasreddin; თბილისი; მირზა ჯალილ მემედყულიზა.

შესავალი

XX საუკუნის დასაწყისში, ხელოვანთა და ინტელექტუალთა ჯგუფმა ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფოლკლორული ფიგურის, მოლა ნასრედინის ხელახალი ინტერპრეტაცია მოახდინა. ამით ისინი ცდილობდნენ ჩამოეყალიბებინათ რეფორმისტული და ანტიკოლონიალური მუსლიმური დისკურსი, რომელსაც აქცენტი სოციალურ და პოლიტიკურ რეფორმებზე ექნებოდა. ფოლკლორის, ვიზუალური ხელოვნებისა და სატირის მეშვეობით პერიოდული გამოცემა Mollā Nasreddin-მა გავლენა იქონია ათიათასობით მუსლიმზე და შეცვალა მთელი თაობის აზროვნება.

ახლად დაარსებულმა ჟურნალმა მალე შეკრიბა აზერბაიჯანული ინტელიგენციის ყველაზე მოწინავე გუნდი. რედაქტორთან ერთად, ჟურნალის გვერდებზე სხვადასხვა ფსევდონიმებით ქვეყნდებოდნენ ალაქბარ საბირი, აბდულრაჰიმბეი ჰაქკერდიევი, ალი ნაზმი, ალიგულუ გამქუსარი, მამედ საიდ ორდ-

უბადი, ომარ ფაიქ ნემანზადე, სალმან მუმთაზი და სხვა მსგავსი ცნობილი მწერლები და პოეტები.

ავტორები სხვადასხვა სოციალურ ფენას მიეკუთვნებოდნენ. ზოგიერთი მუშათა კლასის ოჯახებიდან იყვნენ, თუმცა ძირითადი ნაწილი მაინც საშუალო ფენის წარმომადგენლები იყვნენ. რედაქტორი ჯალილ მემედყულიზადე, იგივე მირზა ჯალილი (1866–1932), იყო ავტორი, დრამატურგი და აზერბაიჯანული ლიტერატურის კრიტიკული რეალიზმის სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი. ომარ ფაიქ ნემანზადე (1872–1937), თანადამფუძნებელი და რედაქტორი, იყო გამოცდილი ჟურნალისტი, რომელიც სწავლობდა თურქეთში. მირზა ჯალილის მეუღლე, ჰამიდე ხანუმი (1873–1955) იყო ქალთა უფლებების დამცველი. კიდევ ერთი რეფელარული კონტრიბუტორი იყო მირზა ალაქბარ თაჰერზადე საბერი (1862–1911), XXს-ის ცნობილი აზერბაიჯანულენოვანი პოეტი. გამოცემის ილუსტრაციები ეკუთვნით იოსიფ როტერს და ოსკარ შმერლინგსა და აზიმ აზიმზადეს.

მეთოდოლოგია

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს აღწეროს მუსლიმი, კერძოდ აზერბაიჯანელი რეფორმატორების ცხოვრება და მოღვაწეობა თბილისში მე-20 საუკუნის დასაწყისში მოლა ნასრედინის პერიოდული გამოცემის მაგალითზე. ნაშრომი ეყრდნობა სხვადასხვა კვლევით სტატიებს, მონოგრაფიებს და მოლა ნასრედინის ორიგინალ ნომრებს. ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები შეგროვებული მონაცემების ანალიზისათვის, ასევე ნარატიული კვლევის მეთოდები რომელიც უფრო შესაფერისია საზოგადოებების, კულტურისა და ხალხების შესასწავლად. ნაშრომი ასევე იყენებს ინდუქციურ მიდგომას, რაც მიზნად ისახავს ინდივიდუალური ფაქტების საფუძველზე დასკვნების გამოსატანას.

მსჯელობა

ჯალილ მამედყულიზადე დაიბადა 1866 წელს ნახჭევანში. ჯერ საეკლესიო სკოლაში ჩაირიცხა და ცამეტი წლის ასაკში ნახჭევანის საქალაქო სკოლაში გადავიდა, სადაც ისწავლა რუსული

ენა. 1882 წელს ჩაირიცხა ქალაქ გორის ამიერკავკასიის პედაგოგთა სემინარიაში, რამაც ძალიან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. 1887 წელს სასწავლებლის დასრულების შემდეგ მუშაობა დაიწყო ერევნის გუბერნიის სოფლის სკოლაში მასწავლებლად. 1903 წელს ჯალილ მამედყულიზადემ მუშაობა დაიწყო თბილისში, ადგილობრივ აზერბაიჯანულ გაზეთში „შაგრი რუს“ (რუსეთის აღმოსავლეთი).³ 1905 წელს მან ომარ ფაიქ ნემანზადესთან ერთად მეშედი ალასქარ ბაგიროვის ფინანსური დახმარებით შეიძინეს სტამბა და 1906 წლიდან დაიწყეს სატირული ჟურნალის, Mollā Nasreddin-ის გამოცემა. ჟურნალის სახელი დიდწილად იყო ნაკარნახევი იმ ფაქტით, რომ ყველასთვის ცნობილი და საყვარელი ფოლკლორული გმირის სახელს ხშირად იყენებდნენ, როდესაც სტატიებზე ავტორის მითითება არამიზანშეწონილად იყო მიჩნეული.

ომარ ფაიქ ნემანზადე, მესხეთში, სოფელ აგარაში დაიბადა სუნიტი გლეხების ოჯახში. 1882 წელს დედამისის მოთხოვნით იგი სასწავლებლად წავიდა სტამბოლში, ფათიჰის მედრესეში. მოკლე ხანში მან ბიძამის რეფორმისტულ დარუშაფაკაში გაგზავნა სთხოვა (Darüşşafaka - საშუალო სკოლისა და კოლეჯის სიმბიოზი), სადაც ომარ ფაიქ ნემანზადემ შედარებით თანამედროვე, სეკულარული განათლება მიიღო. რამოდენიმე წელი მან გალათას საფოსტო განყოფილებაში იმუშავა და ჩაერთო ახალგაზრდა თურქთა მოძრაობაში.⁴ დაპატიმრების შიშით, იგი მალევე დაბრუნდა სამხრეთ კავკასიაში, სადაც შემდეგი წლები მოღვაწეობდა სხვადასხვა ქალაქებში, შემახაში, განჯაში, თბილისში და ა.შ. როდესაც ჟურნალის გამოცემა გადაწყვიტეს, ლიცენზიაზე მოთხოვნა მხოლოდ მირზა ჯალილის სახელზე შეიტანეს, რადგან ომარ ფაიქ ნემანზადე ამ პერიოდისათვის რამდენჯერმე იყო დაკავებული და ცნობილი იყო თავისი რადიკალური შეხედულებებით. მას ორმოცამდე ფსევდონომით ავს გამოქვეყნებული სტატიები ჟურნალში, მათ შორის Mollā Nasreddin-ის სახელითაც,

³ Afary & Afary, 2019: 82-85

⁴ Cafarov, 2010

რომელსა მირზა ჯელილთან ერთად იყოფდა. ჟურნალში გამოქვეყნებული რადიკალური სტატიების დიდი ნაწილი სწორედ ომარ ფაიქ ნემანზადეს ეკუთვნის.

ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ, ომარ ფაიქ ნემანზადემ შეწყვიტა მუშაობა Mollā Nasreddin-ის ჟურნალში და მოღვაწეობა დაიწყო არაბოლშევიკურ მუსავათის პარტიაში, რომელიც ერთ-ერთი წამყვანი პოლიტიკური მარტია გახდა ახლად ჩამოყალიბებულ აზერბაიჯანის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მირზა ჯალილის გარდაცვალების შემდეგ, ომარ ფაიქ ზემანზადე დაბრუნდა საქართველოში, აგარაში, თუმცა 1937 წელს იგი დააპატიმრეს და სიკვდილით დასაჯეს თურქეთის სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით.⁵

ჟურნალის განვითარებაში, მის გენდერულ პოლიტიკაში, ქალთა ჩაგვრისა და მათზე ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ გამოსვლებში დიდი წვლილი შეიტანა ჯალილ მამედყულიზადეს მეუღლემ ჰამიდე ხანუმ ჯავანშირმა. დიდწილად, ჟურნალი გადარჩა და წარმატებას მიაღწია სწორედ ჰამიდე ხანუმის ინტელექტუალური და ფინანსური თანადგომის შედეგად. ჰამიდე ხანუმ ჯავანშირი დაიბადა ყარაბაღში. რეგიონის რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობამდე, ჯავანშირები მის მმართველებს წარმოადგენდნენ, თუმცა XIX საუკუნი მეორე ნახევარში ისინი ჩვეულებრივი რუსიფიცირებული მუსლიმი არისტოკრატიული ოჯახი იყო, სადაც მამაკაცები პეტერბურგის სამხედრო სასწავლებელში სწავლობდნენ და ოფიცრის ჩინით მსახურობდნენ რუსეთის არმიაში. ჰამიდე ხანუმმა განათლება სახლში მიიღო, სადაც მას რუსულად წერა-კითხვა შეასწავლეს, ხოლო პირველი ქმრისა და მამის გარდაცვალების შემდეგ (1903 წ.) ის ოჯახსა და მეურნეობას ჩაუდგა სათავეში. მირზა ჯალილი მან თბილისში გაიცნო, როდესაც მამამისის ლიტერატურული შემოქმედების გამოსაქვეყნებლად იყო ჩამოუღი. აქ მან მირზა ჯალილის რჩევით მუსლიმ ქალთა მეგობრული საზოგადოება დააარსა, რომელმაც საკმაოდ სწრაფად მოახერხა პირველი დაწყებითი სკოლის გახსნა

⁵ Afary and Afary, 2022: 114

მუსლიმი გოგონებისათვის. მირზა ჯალილი და ჰამიდე ხანუმი ერთმანეთში სწორედ პროგრესულად მოაზროვნე დასაყრდენს ხედავდნენ. Mollā Nasreddin-ის სტატიების აბსოლუტური უმრავლესობა ეხებოდა მუსლიმ ქალთა უფლებებს, მათ შორის საკითხებს, რომლებიც შეეხო ჰამიდე ხანუმს და მის ცხოვრებაში არსებულ სხვა ქალებს. ხშირად სწორედ ჰამიდე ხანუმისა და სხვა წარმატებული, დამოუკიდებელი მუსლიმი ქალების ცხოვრება იყო ის უმაღლესი მიზანი, რომელსაც მირზა ჯალილი ადარებდა სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები, ტრადიციული მუსლიმი ოჯახების ყოფას.⁶

ქორწინების შემდეგაც მირზა ჯალილმა და ჰამიდე ხანუმმა ცხოვრება მეტწილად ცალ-ცალკე განაგრძეს. ჰამიდე ხანუმი ქაპრიზოში (ყარაბაღი) განაგრძობდა მოღვაწეობას, ხოლო მირზა ჯალილი თბილისში. წელიწადში რამდენჯერმე, მირზა ჯალილი სტუმრობდა მეუღლეს ყარაბაღში და მასთან ერთად ატარებდა დროს შუშაში.⁷ ქორწინების შემდეგ ირზა ჯალილმა მიიღო საჭირო ფინანსური მხარდაჭერა ჰამიდე ხანუმისაგან და შეძლო მთლიანად დაეთმო ყურადღება პერიოდული გამოცემისათვის. ჰამიდე ხანუმისათვისაც მნიშვნელოვანი იყო აღნიშნული ქორწინება, რომელმაც ერთის მხრივ საშუალება მისცა შეენაჩუნებინა დამოუკიდებლობა და მეორეს მხრივ მეტად ყოფილიყო ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანა ქალთა უფლებების დაცვაში.

შუშასა და თბილისში ჰამიდე ხანუმი აწყობდა სპექტაკლებს, ბენეფიტებსა სხვა ღონისძიებებს სახსრების ასაგროვებლად, რომლებსაც შემდგომ ღარიბი ბავშვების განათლების მხარდასაჭერად იყენებდა. მან მჭიდრო კავშირები დაამყარა სომეხ ქალთა საზოგადოებასთან და ისინი ერთად ცდილობდნენ მეგობრული ურთიერთობების დამყარებას დაპირისპირებულ ეთნიკურ თემებს შორის. თავის მხრივ მირზა ჯალილი ხელს უწყობდა ჰამიდე ხანუმის ამ წამოწყებებს ჯურნალის სტატიებში, სად-

⁶ Afary and Afary, 2022: 93-97

⁷ Javanshir, 2016: 43-51

აც ის ხშირად აკრიტიკებდა საზოგადოების ისეთ წევრებს, რომლებიც არ იღებდნენ მონაწილეობას საქველმოქმედი შემოწირულობებში და მოუწოდებდა საზოგადოების მდიდარ ნაწილს გამხდარიყო უფრო გულუხვი ქველმოქმედებაში.

ჯალილ მამედყულიზადეს სიკვდილის შემდეგ ჰამიდე ხანუმი აქტიურად ცდოლობდა მისი ნაშრომების პოპულარიზაციას, თარგმნიდა და აქვეყნებდა მათ. 1939 წელს იგი გახდა აზერბაიჯანის მწერალთა ასოციაციის წევრი და დაწერა მემუარები მათი ერთობლივი ცხოვრების შესახებ. ეს ნაშრომი, შეიძლება ჩაითვალოს მირზა ჯალილისა და Mollā Nasreddin-ის ცხოვრების ყველაზე ამომწურავ ისტორიად. ის ბევრ რამეს ავლენს მათი თანამედროვე ქორწინების შესახებ. გვიჩვენებს, რომ ქმრისა და მისი საქმიანობის უპირობო მხარდაჭერის მიუხედავად, მან შეინარჩუნა საკუთარი ხმა, ხედვა და დამოუკიდებლობა, როგორც მათი ოცდახუთწლიანი ქორწინების დროს, ასევე მის შემდეგაც.

ალაქბარ თაჰერზადე საბერი, დაიბადა 1862 წელს შემახაში, შირვანის პროვინციაში. განათლება პოეტ აზიმ შირვანის მიერ დაარსებულ ახალი მეთოდის სკოლაში მიიღო, სადაც თავადაც დაიწყო ლექსების წერა. საბერი პოპულარული პოეტი და ორატორი იყო, ორმელიც რელიგიურ ცერემონიებზე მადიდებლად მუშაობდა. ადრეულ ასაკში, მან ძმებთან და დედასთან ერთად ცენტრალური აზიისა (სამარყანდი, ბუხარა) და ახლო აღმოსავლეთის (ირანი, ერაყი) მნიშვნელოვანი ნაწილი მოინახულა, რამაც წარმოდგენა შეუქმნა რეგიონის სოციალურ ყოფაზე. შემახაში დაბრუნების შემდეგ მან ცოლი შეირთო და დაიწყო საპნის წარმოება, თუმცა თავი არ დაუნებებია ლექსების წერასათვის. მნიშვნელოვანი გარდატეხა მის შემოქმედებაში 1905 წლის რუსეთის რევოლუციამ გამოიწვია. ალაქბარ საბერი აქტიურად დაუბრუნდა სოციალურ თემატიკაზე ლექსების წერას, რამაც მისი წერის სტილიც მნიშვნელოვნად გაამდიდრა. ყველაზე წარმატებულად მის შემოქმედებაში 1906-1911 წლები ითხლება, როდესაც იგი აქტიურად თანამშრომლობდა ჟურნალ Mollā Nasreddin-თან სხვა აზერბაიჯანულენოვან გამომცემლობებთან ერთად. ჟურნალში

გამოქვეყნებულ ლექსებს ის სხვადასხვა სატირული ფსევდონიმით აწერდა ხელს, როგორებიცაა „ოფოფი“, რელიგიის სვეტი“, „ცრემლებიანი სიცილი“, მოხუცი ბიძა“, „ბებერი ირანელი“ და „მეცნიერი“.⁸

Mollā Nasreddin-ში გამოქვეყნებული ლექსების გამო იგი მნიშვნელოვანი კრიტიკის სამიზნე გახდა, რამაც დააზარალა მისი საპნის წარმოებაც. 1908 წელს მან ახალი მეთოდის სკოლა გახსნა, თუმცა აქაც კიდევ ერთხელ მწვავედ გააკრიტიკეს თანამედროვე სასწოვლო გეგმის გამო. 1910 წელს იგი იძულებული გახდა ბაქოში გადასულიყო, სადაც მუშაობდა მასწავლებლად და რედაქტირებდა პერიოდულ გამოცემებს, როგორიცაა Tazeh Hayāt და Haqiqat. მალე ის ავად გახდა და შემახში დაბრუნდა, სადაც თირკმლის უკმარისობით გარდაიცვალა 1911 წელს.

ალაქბარ საბერი აზერბაიჯანული ლიტერატურის რევოლუციონერად ითვლება. სატირული ტექნიკის თვალსაზრისით, საბერი იყენებს თითქმის ყველა იმ ფორმასა და ხერხს, რომელსაც მისი წინამორბედებიც იყენებდნენ. ის თავის ნამუშევრებში თანაბრად იყენებს *qasideh*-ს და *ghazel*-ს, *mathnavi*-სა და *ruba'i*-ს. ხანდახან პაროდირებას უკეთებს ცნობილ ლექსს, ან, უფრო ზუსტად, ის იღებს პირველ სტრიქონს და წერს პარალელური სტრუქტურის ლექსს.

ბევრი ლექსი სატირულ მონოლოგს წარმოადგენდა, რომელიც პირადი აზრის გადმოცემის ან ორ ადამიან შორის პირადი საუბრის სცენას წარმოადგენდა, მაგალითად ქმარსა და ცოლს შორის, ან მემამულესა და მუშას შორის და ა.შ. სამხრეთ კავკასიასა და ირანში მშრომელთა გაფიცვებისა და საპროტესტო მოძრაობის გაძლიერების ფონზე საბერმა გამოაქვეყნა ლექსი, რომელიც შეძლებული კლასის მხრიდან ბაქოს მუშებისთვის მიმართვას წარმოადგენდა. საბერი ასევე ხშირად აქვეყნებდა პირადი საუბრების ხასიათის მქონე ლექსებსაც, მაგალითად კაცზე რომელიც დაიღალა ცოლითა და ოთხი შვილით და მეორე ცოლის მოყვანა ურდა, მაგრამ პირველი ცოლი წინააღმდეგი იყო; მოხ-

⁸ Afary and Afary, 2022: 101

უცი ქალის შესახებ, რომელიც ხალგაზრდა რძალს არიგებდა გაფრთხილებოდა საკუთად ფინანსებსა და ემოციურ მდგომარეობას, რადგან კაცები სანდოები არ იყვნენ; ქორწილის დამე თხუთმეტი წლის გოგონას გადმოსახედიდან, რომელიც დედას ემუდარება არ შეუშვას მისი სამოცდაათი წლის ქმარი საქორწინო ოთახში.⁹

გარდა იმისა, რომ იყო პროგრესული პოეტი, რომელიც ეხმარიანებოდა სამხრეთ კავკასიის მუსლიმების კლასობრივ, გენდერულ და ეთნიკურ საზრუნავებს, საბერმა დაწერა ოცზე მეტი პოემა ირანზე და ახალგაზრდა თურქების რევოლუციაზე. მისი ლექსები ირანზე, განსაკუთრებით რომლებიც ეხებოდა თავრიზის ალყას, ზეპირსიტყვირად გადაიცემოდა აზერბაიჯანულ რევოლუციონერებში.

აბდულრაჰიმბეი ჰაქვერდიევი დაიბადა 1870 წელს შუშაში წარჩინებულთა ოჯახში, თუმცა მშობლების გაცილების გამო საკმაოდ მძიმე ბავშვობა ჰქონდა. თავდაპირველად იგი მამასთან და დედინაცვასთან იზრდებოდა, მამის გარდაცვალების შემდეგ მეურვეუბა ბიძამისს დაეკისრა, ხოლო 10 წლის ასაკში დედასთან და მამინაცვალთან გადავიდა საცხოვრებლად, სადაც ასწავლეს წერა-კითხვა. იგი გერმანული სტილის სკოლაში სწავლობდა თბილისში, რის შემდეგაც პეტერბურგს ტრანსპორტის ინჟინერიის განყოფილებაზე ჩაირიცხა. თოთხმეტი წლის ასაკიდან ჰაქვერდიევი წერდა პიესებს. პეტერბურგში მოღვაწეობის დროს მან თარგმნა რიგი რუსული პიესებისა აზერბაიჯანულ ენაზე. მას ასევე ეკუთვნის პირველი ეიკური ტრაგედია დაწერილი აზერბაიჯანულ ენაზე *Daghilan Tifag*, ერთიანობის რღვევა. 1906 წელს ჰაქვერდიევი რუსეთის იმპერიის დუმაში აირჩიეს. მუსლიმური თემის ექვსი წარმომადგენლიდან ერთ-ერთი. 1918 წელს იგი ასევე აირჩიეს საქართველო დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტშიც, როგორც მუსლიმური თემის წარმომადგენელი. Mollā Nasreddin-ის ჟურნალში მოღვაწეობის დასაწყისისას იგი მისი რედაქციის ყველაზე ცნობილ ფიგურას წარმოადგენდა.

⁹ Mollā Nasreddin, 2005

Mollā Nasreddin არ წარმოადგენდა პოლიტიკურ პარტიას ან გაერთიანებას, თუმცა მისი თითქმის მთლიანი სარედაქციო ჯგუფი სოციალ-დემოკრატიული განწყობებით გამოირჩეოდა. ჟურნალში დასაქმებული მწერლებისა და პოეტების უმრავლესობა შიიტური აღმსარებლობის იყვნენ, ისევე როგორც Mollā Nasreddin-ის მკითხველთა უმრავლესობაც, თუმცა ჟურნალის თანადამფუძნებელი, ომარ ფაიქ ნემანზადე, სუნიტი იყო, ხოლო ორი მთავარი ილუსტრატორი, შმერლინგი და როტერი ქრისტიანი და ებრაელი იყვნენ შესაბამისად.

თბილისი, სადაც ჟურნალი Mollā Nasreddin ქვეყნდებოდა 1906-1912წწ. მრავალი დისპორული თემის სახლს წარმოადგენდა, საკმაოდ დახვეწილი კულტურით. აქვე ცხოვრობდნენ ჟურნალის თანამშრომელთა უდიდესი ნაწილი. ქალაქის ჩამოყალიბებული არტისტული რეპუტაცია იცავდა Mollā Nasreddin-ის მწერლებსა და ილუსტრატორებს, აძლევდა მათ უსაფრთხო სივრცეს შემოქმედებითი განვითარებისათვის. როგორც მირზა ჯალილმა აღნიშნა, ჟურნალი ვერ გამოქვეყნდებოდაო უფრო სამხრეთით, უფრო ახლოს ბაქოსთან და ირანის საზღვართან, სადაც უფრო დიდი მუსლიმური თემი დახურავდა რადიკალურ პერიოდულ გამოცემას. თბილისშიც კი Mollā Nasreddin-ის რედაქციას მაქსიმალური სიფრთხილის გამოჩენა უწევდა. ჟურნალის სტამბა ქალაქის სომხური თემის უანში მდებარეობდა, ხოლო თვითონ მირზა ჯალილი, მუსლიმი თემისგან მოშორებით, ქართულ უბანში ცხოვრობდა.

1906 წლიდან 1912 წლამდე თბილისში გამოიცა Mollā Nasreddin-ის დაახლოებით 370 ნომერი. 1906 წლის 7 აპრილს, ჟურნალი გამოვიდა მოკრძალებული, 1000 ეგზემპლარიანი ტირაჟით, მაგრამ ერთ თვეში იბეჭდებოდა კვირაში 25000 ეგზემპლარი.¹⁰ Mollā Nasreddin აკრიტიკებდა სამხრეთ კავკასიის პოლიტიკოსებს, მიწის მესაკუთრეებს და სასულიერო პირებს; ხაზს უსვამდა ქალებისა და ბავშვების ჩაგვრას პატრიარქალურ საზოგადოებაში.

¹⁰ Afary and Afary, 2022: 64

რვაგვერდიან, ყოველკვირეულ ჟურნალს ჰქონდა სრულგვერდიანი ლითოგრაფიული ფერადი ილუსტრაციები და წარმოდგენდა ტექსტისა და ილუსტრაციების კარგად დაბალანსებულ ნაზავს. Mollā Nasreddin-ის ნომერი ძირითადად შეიცავდა შემდეგი სახის სტატიებსა და სვეტებს: კარიკატურები და ილუსტრაციები, დისკუსიები, სატირული ისტორიები, ფელეტონები, იუმორისტული, პირადი და ოფიციალური განცხადებები, იუმორისტული ლექსები, დეპეშები, საფოსტო ყუთი.

პირველი ნომრის გარეკანზე გამოსახული ილუსტრაცია „გამოდვიძების“ სახელს ატარებს. მოლა ნასრედინი აღვიძებს „აღმოსავლეთის მძინარე ერების“.¹¹

Mollā Nasreddin-ი უპირველეს ყოვლისა იმდროინდელი სხვა პუბლიკაციებისაგან განსხვავებით ნაკლებად განათლებულ აზერბაიჯანულ მოსახლეობას მიმართავდა, რომლებიც ხშირად იყვნენ თურქული, რუსული თუ ირანული გავლენის ქვეშ. მირზა ჯალილის თქმით, მისი ჟურნალი იყო თავისი დროის პროდუქტი, როდესაც მოსახლეობის უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარი იყო, რუსეთისა და სპარსეთის იმპერიების მიერ მართული, რელიგიური ლიდერების ხელმძღვანელობით. ტექსტები იყო მარტივი ენით დაწერილი ხოლო ილუსტრაციები ადვილად გასაგები. ხშირად სასულიერო პირებზე, რომლებსაც ჟურნალის ავტორები განათლებისა და საერო საზოგადოების მტრებად თვლიდნენ.

Mollā Nasreddin-ი პროგრესული იდეოლოგიების ერთგავსინთეზს წარმოადგენდა. იგი თანაბრად აკრიტიკებდა ცარისტულ ბიუროკრატias, მუსლიმურ რელიგიურ ინსტიტუტებს, მიწის მესაკუთრეებს, რომლებიც ზედმეტად ბეგრავდნენ გლეხებს და მოსახლეობის მდიდარ ფენას, რომელიც არასმარის ქველმოქმედებას ეწეოდა. იგი აკრიტიკებდა იმპერიალისტურ ძალებს ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში ტერიტორიების მიტაცების გამო. სოციალურ და კულტურულ ასპარეზზე Mollā Nasreddin-ი მოუწოდებდა მუსლიმი ქალების მეტი უფლ-

¹¹ Mollā Nasreddin, 1988

ეგებისაკენ, თანამედროვე სკოლებისა და აზერბაიჯანულ ენაზე სწავლებისაკენ.¹²

ჟურნალი თავიდანვე გამოქვეყნდა აზერბაიჯანულ-თურქულ ენაზე, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისი რედაქციისათვის. შედეგად, ის ხელმისაწვდომი გახდა ირანში მცხოვრები თურქულენოვანი მოსახლეობისათვის და აზერბაიჯანლებისათვის. გამოცემა განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობდა ე.წ. „ინტელექტუალებს“, რომლებიც ისე იყვნენ ჩაფლულნი რუსულ ენასა და კულტურაში, რომ მათთვის დამამცირებელი იყო თურქულად საუბარი. ჟურნალის პირველ ნომერში მოლა ნასრედინი წერს: „ახლა, მე დავასრულე ჩემი გამოსვლა და მხოლოდ ერთი ბოდიში მაქვს. გთხოვთ მომიტევოთ ჩემო თურქო ძმებო, რომ მოგმართეთ თურქულად. ვიცი, რომ სამარცხვინოა და ადამიანის უცოდინრობაზე მიუთითებს, მაგრამ ხანდახან არც ისე ცუდი იქნება, რომ გავიხსენოთ ძველი დღეები, როცა დედა აკვანის რწევისას მშობლიურ ენაზე გვესაუბრებოდა“.¹³

Molla Nasreddin-ის გამოცემა აზერბაიჯანში საგანმანათლებლო მოძრაობას დაემთხვა. რამდენიმე წლით ადრე გასპრინსკის საგანმანათლებლო რეფორმის ახალი მეთოდის (ჯადიდიზმი) შემდეგ გაჩნდა კერძო ორენოვანი რუსულ-აზერბაიჯანული სკოლები. ახალ ლიტერატურულ მოძრაობას სამი კომპონენტი ჰქონდა: ახალი მეთოდის პროგრამების ჩართვა არსებულ სკოლებში და ახალი სკოლების მშენებლობა; საღამოს ზრდასრულთა განათლების პროგრამების შექმნა; მასწავლებელთა გადამზადების პროგრამების დაწესებულება მოსალოდნელი ახალი სტუდენტების მასობრივი ნაკადისთვის გასამკლავებლად.¹⁴ ამ ძალისხმევის შედეგად 1906 წლის შემდეგ სამხრეთ კავკასიაში, განსაკუთრებით ბაქოში, არსებითად გაიზარდა წიგნიერების დონე. მირზა ჯალილი და საბერი ახალი მეთოდისა და გასპრინსკის ძლიერი მხარდამჭერები იყვნენ. შმერლინგის მიერ შეს-

¹² Slavs and Tatars, 2011: 53

¹³ Molla Nasreddin, 1988

¹⁴ Tağızade, 2021

რულებული ილუსტრაციაში ჩანს გასპრინსკი, რომელსაც ხელში თავისი ჟურნალი Tarjomān-ი უჭირავს, მას თავს ესხმის ორი მოლა, რომლებიც გასპრინსკის „ერესში“ სდებენ ბრალს და აცხადებენ, რომ მისი ახალი პედაგოგიური მეთოდები შარიათის კანონებს ეწინააღმდეგება.

რეფორმატორები ორენოვან განათლებას მოითხოვდნენ, სადაც სწავლების მეტი წილი აზერბაიჯანულ ენაზე ჩატარდებოდა. რაზე შეთანხმებაც გაუჭირდათ იყო თუ რომელ, აზერბაიჯანულ თუ თურქულ ენას უნდა დაყრდნობოდა ახალი წერილობითი ენა. რადგან აზერბაიჯანული ჯერ კიდევ არ იყო სტანდარტიზირებული, ხოლო მოსახლეობის გარკვეული ნაწილს ოსმალური განათლება ჰქონდა მიღებული, ოსმალური თურქულის მშობლიურ ენად შემოღებას საკმაოდ ბევრი მომხრე აღმოაჩნდა.¹⁵ მირზა ჯალილი, ისევე როგორც Mollā Nasreddin-ის ჟურნალის რედაქციის უდიდესი ნაწილი თვლიდა, რომ იმის მიუხედავად, რომ აზერბაიჯანული ძალიან ახლოს იდგა ოსმალურთან, მისი ჩანაცვლება ოსმალური თურქულით არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა. აზერბაიჯანელები საკუთარ მშობლიურ ენაზეც კი ძლივს ახერხებენ სათქმელის გადმოცემას, სპარსული და ოსმალური ენები ნამდვილად ვერ იქნება ამ სიტუაციიდან გამოსავალი.

Mollā Nasreddin-ი განსაკუთრებით აკრიტიკებდა მოსახლეობის საშუალო და მაღალ კლასებს, რომლებიც სრულად რუსულ ენაზე იყვნენ გადასულები. „შეიძლება სახელმწიფომ არ მოგვცეს საშუალება, ვისწავლოთ მშობლიური ენა სახელმწიფო სკოლებში, მაგრამ რა გვიშლის ხელს, რომ ბავშვებთან ან საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში აზერბაიჯანულად ვისაუბროთ. რატომ ვაძლევთ ჩვენს შვილებს რუსულ სახელებს, ან ვაძლევთ უფლებას, რომ აზერბაიჯანული სახელები რუსულით შეცვალონ, რომ როცა მეგობრის სახლში მისულები და მის

¹⁵ Swietochowski, 1985

პატარა გოგონას მონავევარს დაუმახებთ, შუბლი შეიჭმუნოს, რადგან სახელ „ვარიას“ ამჯობინებს.“¹⁶

ამ სტატიებს მოჰყვა პერიოდული თავდასხმები როგორც ცარისტული ხელისუფლების, ისე ირანისა და ამიერკავკასიის შიიტური სასულიერო პირების მიერ რედაქტორზე, რამაც გამოიწვია ცენზურა, დროდადრო დახურვა და გაზეთის კონფისკაციაც კი ირანის საზღვარზე.

სასულიერო პირების აქტიური კრიტიკა, ჟურნალის სეკულარული მსოფლმხედველობა და ქალების უფლებების აქტიური მხარდაჭერა გარკვეულ რისკებთანაც იყო დაკავშირებული. ჯალილ მამედყულიზადესა და მის ჟურნალს მუდმივად ემუქრებოდნენ. 1907 წელს ოსმალეთის კონსულმა თბილისში, კავკასიის მმართველთან იჩივლა ჟურნალში გამოქვეყნებული კარიკატურების შესახებ, რომლებიც ოსმალეთის სულთანს იყო გამოსახელობა. შედეგად, ჟურნალ Mollā Nasreddin-ს აუკრძალეს ამ თემასთან დაკავშირებით ილუტრაციების გამოქვეყნება. (ჟურნალი მართლაც არ აქვეყნებდა არაფერს ოსმალეთის სულთანთან დაკავშირებით ახალგაზრდა თურქების რევოლუციამდე). ჟურნალი ყურადღების ცენტრში იყო ირანშიც. ირანის პარლამენტის მთელი სხდომა Mollā Nasreddin-ის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებული სტატიისათვის იყო მიძღვნილი. შეუფერებელი ქცევისათვის ჟურნალში გაკრიტიკებული ირანელი პარლამენტარი თავის გამართლებას ცდილობდა სხდომის დამსწრეთა წინაშე.¹⁷ ყველაფრის მიუხედავად ჯალილ მამედყულიზადე თავს მეტწილად დაცულად გრძნობდა თბილისში. მისი თქმით გამომცემლობა თბილისის ნაცვლად ბაქოში ან ერევანში რომ ყოფილიყო მის ოფისს აუცილებლად დაარბევდნენ, ხოლო მას დიდი ალბათობით მოკლავდნენ.¹⁸

1905 წლის სისხლიანი შეტაკებები ეთნიკურ სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის მალე გახდა დაპირისპირების მიზეზი

¹⁶ Mollā Nasreddin, 2002

¹⁷ Afary & Afary, 2016:127

¹⁸ Javanshir, 2016: 127



ბაქოსა და თბილისშიც. იქიდან გამომდინარე, რომ Mollā Nasreddin-ის სტამბა თბილისის სომხურ უბანში იყო განთავსებული, ჟურნალის ორი ახალგაზრდა მწერალი კინაღამ შეეწერა ერთ-ერთ შეტაკებას. სიტუაცია იხსნა მხოლოდ იმ ფაქტმა, რომ სტამბის აღდგენა თავის დროზე ორი სომეხი ხელოსანის დახმარებით მოხდა. ამ მოვლენამ ძლიერი გავლენა მოახდინა მირზა ჯალილზე და ომარ ფაექზე და შესაძლოა ხელი შეუწყო მათ მტკიცე მხარდაჭერას მუსლიმებსა და სომხებს შორის ეთნიკური ჰარმონიისადმი. ისინი ასევე ცდილობდნენ ეჩვენებინათ, რომ ორივე ჯგუფი რეალურად რუსული იმპერიალიზმის და „გათიშე და იბატონე“ პოლიტიკის მსხვერპლი გახდა.¹⁹

დასკვნა

ჯალილ მამედყულიზადემ ჟურნალ Mollā Nasreddin-ის მეშვეობით უდიდესი წვლილი შეიტანა აზერბაიჯანულ კულტურაში და დაეხმარა კრიტიკული რეალიზმის განვითარებას განათლებულ აზერბაიჯანულ წრეებში. იგი ზუსტად აღწერდა მე-20 საუკუნის დასაწყისში კავკასიაში არსებულ საშინაო და ეკონომიკურ მდგომარეობას და დასცინოდა ჩამორჩენილობასა და გაუნათლებლობას. დღევანდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკა Mollā Nasreddin-ის ჟურნალს გაიხილავს, როგორც აზერბაიჯანული თვითმყოფადობის ადრეულ გამოხატულებას. თუმცა ჟურნალზე პრეტენზიას ირანიც გამოთქვამს. ირანელი ისტორიკოსები ხაზს უსვამენ ამიერკავკასიასა და ირანს შორის არსებულ ისტორიულ და რელიგიურ კავშირებზე, საბერისა და ჯალილ მამედყულიზადეს სპარსულ ფესვებზე და ასევე ჟურნალის გამზაფრებულ ყურადღებას და ერთგვარ ნოსტალგიას ირანისადმი.

¹⁹ Swietochowski, 1985





გამოყენებული ლიტერატურა:

- Afary, Janet, and Afary, Kamran. (2019).. *Mollā Nasreddin and the creative Cauldron of Transcaucasia*, 2019, British Journal of Middle Eastern Studies.
- Afary, Janet, and Afary, Kamran. (2020). *Mollā Nasreddin, The Making of a Modern Trickster (1906–1911)*, 2022, Edinburgh University Press.
- Cəfərov, Taleh. (2010). 1905-1906-cı il Tiflis hadisələri Ömər Faiq Nemanzadənin gözü ilə, 14 Mart 2010, *Xalq qəzeti*.
- Javanshir, Hamideh Khanum. (2016). *Awake: a Moslem woman's rare memoir of her life and partnership with the editor of Molla Nasreddin, the most influential satirical journal of the Caucasus and Iran, 1907-1931*. Translated by Hasan Javadi and Willem M Floor, 2016, Washington DC : Mage Publishers.
- Mollā Nasreddin* (1906–1931). (1988). Vol. 1, 1906–1907. 1988. Baku: Azerbaijan Academy of Sciences.
- Mollā Nasreddin* (1906–1931). (2002). Vol. 2, 1908–1909. 2002. Baku: Azerbaijan Academy of Sciences.
- Mollā Nasreddin* (1906–1931). (2005). Vol. 3, 1909–1910. 2005. Baku: Azerbaijan Academy of Sciences.
- Mostashari, Firouzeh. (2006). On the Religious Frontier: Tsarist Russia and Islam in the Caucasus, 2006, *International Library of Historical Studies* 32. New York: I. B. Tauris.
- Slavs and Tatars*, Christoph Keller Edition. (2011). *Mollā Nasreddin: the magazine that would've, could've, should've*, 2011, JRP | Ringler, Zurich.
- Swietochowski, Tadeusz. (1985). *Russian Azerbaijan, 1905-1920: The Shaping of a National Identity in a Muslim Community*. 1985, Cambridge University Press.

Tagızade, Vüsale. (2021). Azerbaycan Halkının Sosyokültürel Düşüncesinde Millî İdeal Mefkûresinin Şekillenmesi ve Mollâ Nasreddin Ciler (Cç Memmedkuluzade ve Ö.F. Nemanzade'nin Sanatmarı Temelinde), *Türk Dünyası Dil ve Edebiyat Dergisi*, Sayı 51, 2021, Ankara, Türkiye.